

ჩვენი დროის რასტინიაკის ტოპონიმური ოდისეა

The toponymical Odyssey of Rastignac, a Hero of Our Time

1994 წელს, გაწაფულმა პოეტმა და კინემატოგრაფიაში ბედნაცადმა მიშელ უელბეკმა საბოლოოდ მონახა თავისი ფიქრების თუ გრძნობებისთვის შესაფერი მხატვრული გამომსახველობითი ფორმა: მან გამოსცა რომანი სახელწოდებით – „ბრძოლის ველის განვრცობა“. რომანი, რომელიც რამდენიმე გამომცემლობამ დაიწუნა, საბოლოოდ უელბეკის საყოველთაო აღიარების საწინდარი გახდა.¹ ნაწარმოები საშუალო რგოლის მოხელის აღსარებაა, რომელიც გვიყვება უსახელო პროტაგონისტის აზრებს, წარმოაჩენს მის მსოფლმედველობას თუ საკუთარი იდენტობის ძიების პროცესს.

უელბეკის რომანის სათაური – „ბრძოლის ველის განვრცობა“, თავად „ბრძოლის ველის“ გააზრებისკენ გვიბიძგებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უელბეკის ჩანაფიქრით, „ბრძოლის ველი“ რეალურ სივრცეს წარმოადგენს ან სიმბოლურ დატვირთვის მქონეა. ერთი შეხედვით, უელბეკის ამ მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტში, „ბრძოლის ველი“ მონსტრად ქცეული ურბანული პარიზია, რომლის დაპყრობასაც *ადამიანური კომედიის* პერსონაჟი – რასტინიაკი, ერთი საუკუნით ადრე ცდილობდა: „ახლა მხოლოდ ჩვენ ორი!“² – ასე უპასუხა ბალზაკის რომანების³ გმირმა გამოწვევას, როდესაც ორი გზის გასაყარზე კრავივით შეწირვას მგლად ყოფნა არჩია.

ბალზაკის მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის ალუზიას სწორედ ეგზისტენციური კრიზისში მყოფი, ცხოვებისეული არჩევანის წინაშე მდგარი უელბეკის რომანი ახალგაზრდა პროტაგონისტი იწვევს. უელბეკი, რომელსაც სტილის უქონლობას

¹ რომანი პირველად გამოიცა 1994 წელს, „მორის ნადოს გამომცემლობის“ მიერ. ამ რომანის მიმართ საზოგადოების ინტერესი უმაღლესი იყო და უელბეკის საყოველთაოდ ცნობილი, რიგით მეორე რომანის („ელემენტარული ნაწილაკები“, (1998 წ.) გამომცემის შემდეგ. მანამდე, 1990 წელს, უელბეკმა გამოაქვეყნა სამენიერო ფანტასტის, ჰაუარდ ფილიპს ლავკრაფტის ბიოგრაფია, სახელწოდებით „სამყაროს წინააღმდეგ, ცხოვრების წინააღმდეგ“ („Howard P. Lovecraft: Contre le monde, contre la vie“ ((1990 წ.)), და ლექსების კრებული – „ბედნიერებისკენ სწრაფვა“ („La poursuite du bonheur“, (1991 წ.)). „ბრძოლის ველის განვრცობა“ უელბეკის პირველი პროზაული მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტია.

² „Maintenant, à nous deux!“. თარგმანი ნ. ქავთარაძისა.

³ ეჟენ დე რასტინიაკი, ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული მხატვრული სახე, ბალზაკის ეპოპეის – „ადამიანური კომედიის“, რამდენიმე რომანის გმირია.

საყვედურობენ, აღიარებს, რომ ბალზაკის და დოსტოევსკის შემოქმედებითაა დავალებული. გავლენა, რომელიც ბალზაკმა არა მარტო მის შემოქმედებაზე, არამედ, ზოგადად ლიტერატურაზე იქონია, განუზომელია.⁴ უდიდდამო, თავსმოხვეული ყოფით და რაიმის შეცვლის უუნარობით გადაღლილი უელბეკის მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის პროტაგონისტის მიმართ სიბრალული დოსტოევსკის მკითხველისთვის უცხო არ იქნება.

კიდევ ერთი რგოლი, რომელიც უელბეკის რომანი ბალზაკის *მამა გორიოსთან* გვაკავშირებს, მოქმედების ადგილია – პარიზი, არა როგორც ალაგი მხოლოდ, არამედ როგორც ფრანგული საზოგადოების მანკიერების სიმბოლური გამოხატულება. ბალზაკის „მამა გორიო“, სადაც რეალიზმის წარმოადგენელმა მეცხრამეტე საუკუნის ფრანგული საზოგადოების რეალისტური სურათი დაგვიხატა, მწერალმა წიგნად 1834 წელს გამოსცა. ბალზაკის რომანში მოქმედება 1819 წელს ხდება, ვალ დე გრასის უბანში, მეხუთე არონდისმანში⁵. თუმცა, მეცხრამეტე საუკუნიდან პარიზის საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდა;⁶ თუ ბალზაკი მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტში პარიზის ძირძველ უბანს გვიხატავს, უელბეკს მოქმედება პარიზის მიერ „ანექსირებულ“ სივრცეში გადააქვს. ამის საპასუხოდ, უელბეკის რომანში ამბავი იწყება მეთვრამეტე არონდისმანებში, რომელიც პარიზს მოგვიანებით, 1860 წელს მიუერთდა, შემდეგ კი – რეგიონებში გრძელდება. ბრძოლის ველი განივრცო!

მოქმედების ადგილის თანხვედრა ორივე რომანში მოთხრობილი ამბის და მათი სულისკვეთების იგივეობას არ ნიშნავს. ბალზაკის რასტინიაკი ტიპური არივისტია,⁷ ბედის ნებიერა, ამბიციური ახალგაზრდაა; ხოლო უელბეკის ანალიტიკოს-პროგრამისტს საკუთარ თავზე მოკრძალებული შეხედულება აქვს და არასრულფასოვნების კომპლექსითაც იტანჯება, რასაც თავად აღიარებს: „ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩემი მეგობრის თვალში მე ვარ იმ ენერჯიადამრეტილი სიცოცხლის სიმბოლო. თავის შექცევაც კი არ შემძლია” (უელბეკი, 2016, გვ. 33).⁸ ბალზაკის *ადამიანური კომედიის* მკითხველი ეჟენ დე რასტინიაკის საზოგადოების დაუწერელი კანონებით განპირობებულ სახეცვლას, მის აღმავლობას ადევნებს თვალსყურს; უელბეკის

⁴ 2005 ინტერვიუში, უელბეკი ბალზაკს ყველა მწერლის წინამორბედს უწოდებს. უელბეკს ოცდამეერთე საუკუნის ბალზაკსაც უწოდებენ.

⁵ პარიზის უძველესი, რომაული ლუტეციის განაპირა უბანი.

⁶ 1795 წელს, პარიზი თორმეტ არონდისმანად დაიყო. 1860 წელს, ქალაქს შუერთეს მიმდებარე დასახლებები და არონდისმანების რიცხვი ოცამდე გაიზარდა.

⁷ „არივისტი”, „arriver”, მომდინარეობს სიტყვიდან „arriver”, „მოსვლა”, „ჩამოსვლა” და გამოხატავს ისეთ არაკეთილსინდისიერ ადამიანს, რომელსაც ნებიესმიერი საშუალებით ცდილობს წინსვლას და წარმატების მიღწევას.

⁸ „J'ai l'impression qu'il me considère comme un symbole pertinent de cet épuisement vital” (Houellebecq, 2005, გვ. 16) (აქ და ქვემოთ, ციტატების სახით გამოყენებულია უელბეკის რომანის გიორგი ეკიზაშვილის ქართული თარგმანი- ნ.ქ.)

პერსონაჟი კი ვერაფრით ცვლის თავის ყოფას: აღსარებას ცხოვრების სირთულეების გადალახვის შეუძლებლობით იწყებს და ამითვე ასრულებს.

საუკუნის მეორე ნახევრის რასტინიკმა საკუთარი თავის შეცნობისთვის საპირისპირო, ცენტრისკენული კი არა, ცენტრიდანული გზა არჩია და პარიზიდან საფრანგეთის რეგიონებისკენ გასწია. პირველ ჯერზე პარიზის დატოვება სამსახურის გამო მოუწია, შემდეგ – ჯანმრთელობის. თავის დამკვიდრების რასტინიკისეულ ინსტინქტს უღებუკის უსახელო პერსონაჟმა ბალზაკის ვოტრენის ცინიზმიც შეუთავსა და თავად „ცდუნების კაპიტალიზმის“ ექსპერიმენტის მისდაუნებურმა ობიექტმა, საცდელი თეთრი მღრნელის როლი სხვას მოარგო. ის, რაც მეცხრამეტე საუკუნეში წარმატებად ითვლებოდა (მიზნისკენ სწრაფვა, საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება...), მეოცე საუკუნის ბოლოს აზრს ჰკარგავს: „ადამიანთა ურთიერთობა სულ უფრო რთულდება, თითქმის შეუძლებელი ხდება, ცხოვრება იცლება თავგადასავლებისგან და, დღითიდღე, სულ უფრო აშკარად იკვეთება სიკვდილის სახე, მთელი მისი ბრწყინვალეობით. მესამე ათასწლეულს მართლაც რომ კარგი პირი უჩანს.“ (უელბეკი, 2016, გვ.17)⁹.

უელბეკის სადებიუტო რომანის პროტაგონისტისთვის, ისევე როგორც მისი თაობისთვის „ყველაფერია ნებადართული, მაგრამ აღარაფერია შესაძლებელი.“¹⁰ უელბეკის პერსონაჟი ვერაფერს წყვეტს: „ვატყობ, სულ უფრო და უფრო მეტს ვეწევი. დღეში ოთხ კოლოფს ვათავებ. ჩემი პიროვნული თავისუფლების ჭეშმარიტი გამოხატულება მოწევა გახდა, ერთადერთი ქმედება, რომელშიც მთელი არსებით ვარ გაწაფული, ერთადერთი ცხოვრებისეული არჩევანი“ (უელბეკი, 2016, გვ. 60).¹¹ თუ ვოტრენი მოძღვრავს რასტინიკს და საწადელის მიღწევისთვის ნებისმიერი ხერხის გამოყენებისკენ უბიძგებს, უელბეკის რომანის ანტი-გმირი თავად ცდილობს მართოს კოლეგის ცხოვრება, მაგრამ საკუთარი ნების ერთადერთ გამოვლინებაშიც მარცხს განიცდის: ტისერანის ტრაგიკული სიკვდილი ერთგავრ „ტრიგერად“ იქცევა, რაც უელბეკის პერსონაჟის საბოლოო ფსიქოლოგიურ განდგურებას იწვევს.¹²

⁹ „Les relations humaines deviennent progressivement impossibles, ce qui réduit d'autant la quantité d'anecdotes dont se compose une vie. Et peu à peu le visage de la mort apparaît, dans toute sa splendeur. Le troisième millénaire s'annonce bien.“ (Houellebecq, 2005, გვ.9)

¹⁰ ბევრი თვლის, რომ უელბეკი ფილოსოფოსი-მარქსისტის, მიშელ კლუსკარის (1928-2009 წწ.) იდეებს იზიარებს. კლუსკარის ნაშრომი – „ცდუნების კაპიტალიზმი“ (1981 წ.) („Le Capitalisme de la séduction“) ანვითარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დიდი თუ პატარა, ყველა მომხმარებელია და უსარგებლო საგნების ტყვეობაში იმყოფება. კლუსკარს ეკუთვნის ე.წ. ლიბერტერიანული ლიბერალიზმის კონცეფცია.

¹¹ „Je me rends compte que je fume de plus en plus; je dois en être au moins à quatre paquets par jour. Fumer des cigarettes, c'est devenu la seule part de véritable liberté dans mon existence. La seule action à laquelle j'adhère pleinement, de tout mon être. Mon seul projet.“ (Houellebecq, 2005, 36)

¹² სამუშაო მივლინებაში უელბეკის რომანის პროტაგონისტი თავის კოლეგასთან ერთად ბარში მიდის, სადაც ახალგაზრდა ქალბატონების ყურადღების მიპყრობას ცდილობს. სასიყვარულო ურთიერთობებში თავად წარუმატებელი პროტაგონისტი თავის „ახლადგამომცხვარი მეგობარს“, ტისერანს მოძღვრავს. თუმცა, ეს უკნასკნელი კოლეგის რჩევას არ დაჰყვება და ძალის გამოყენებაზე უარს ამბობს. იმავე საღამოს, ტისერანი ავტოკატასროფაში იღუპება. (უელბეკი, 2016, გვ: 106-117)

ნაწარმოების პირველი ნაწილში მოქმედება პარიზში ხდება, თუმცა სხვადასხვა ადგილას და იმით სრულდება, რომ პროტაგონისტი დედაქალაქს ტოვებს. პარიზის დატოვება მისი სურვილისამებრ არ ხდება – მივლინებაში გზავნიან. შინაგანი პროტესტის თუ რუტინით დაღალული მორჩილებით¹³ იგი პროვინციაში მიემგზავრება. წიგნის მეორე და მესამე ნაწილში მოქმედება ვითარდება საფრანგეთის რამდენიმე ქალაქში და თხრობა არდემის მხარეში სრულდება. მისი ოდისეა ასე გამოიყურება:

პირველი ნაწილი	II.მარსელთა შუაგულში	მარსელ სამბა მარსელ დასო ფერდინან ბიუსონის გამზირი	ანტროტოპონიმი, ურბანონიმი, გოდონიმი ანტროტოპონიმი, ურბანონიმი, აგრონიმი
	V. ურთიერთობის დამყარება	სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ვარენის ქუჩა, მემვიდე არონდისმანი)	უცნობია
მეორე ნაწილი	III. ძველი ბაზრის მოედნის თამაშობანი	რუანი	მაკროტოპონიმი, ურბანონიმი
	VI. რუანი პარიზი	რუანი / პარიზი	დრომონიმი
	VIII. მიბრუნება პროხებთან	ლა რომ-სურ-იონი	მაკროტოპონიმი, ურბანონიმი
	IX. ბუკანიების რეზიდენცია	საბლ დოლონი	მიკროტოპონიმი
	X. შესვენება	ლა რომ-სურ-ილონი	მაკროტოპონიმი, ურბანონიმი
მესამე ნაწილი	I.	პარიზი	ურბანონიმი
	IV. (ჟან-პიერ ჟუვეს ახსარება)	ვიტრი	მიკროტოპონიმი
	V. (ვენერა და მარსი)	რუეი-მალმეზონი	მაკროტოპონიმი
	VI. (სენ-სირგ-ან-მონტანი)	სენ-სირგ-ან-მონტანი, არდემი	მიკროტოპონიმი, ხორონიმი

მოცემულ სქემაში ასახულია მხოლოდ ის ქვეთავები, სადაც, მაკრო თუ მიკროტოპონიმები, ასტიონიმები ან ოიკონიმებია მოხსენიებული. სწორედ მეორე ქვეთავი უნდა იქცევდეს ყურადღებას, რადგან პირველი თავი მხოლოდ იმას გვამცნობს, რომ მთხრობელი ვახშამზეა მიწვეული: „პარასკევ სადამოს კოლეგამ მეგობრულ ვახშამზე მიმიწვია. ოცდაათამდე მაინც ვიყავით. ოცდახუთიდან ორმოც წლამდე საშუალო რგოლის მომსახურენი.” (უელბეკი, 2016, გვ. 5)¹⁴.

უელბეკის რომანის პროტაგონისტზე მხოლოდ ის ვიცით, რასაც თავად გვანდობს: „ეს-ესაა ოცდაათი წელი შემისრულდა. ცოტაოდენ არეული პირველი ნაბიჯების შემდეგ, სწავლას გული დავუდე და წარმატებას მივალწი: დღეს უკვე შუა რგოლის მოხელე ვარ ,

¹³ უელბეკის სადებიუტო რომანის პროტაგონისტის ეს გუნება-განწყობა თითქოს ეხმიანება მწერლის მიერ მოგვიანებით დაწერილი მატერულ-ლიტერატურული ტექსტის თემატიკას. იგულისხმება 2015 წელს გამოქვეყნებული რომანი „მორჩილება” („La Soumission”).

¹⁴ „Vendredi soir, j'étais invité à une soirée chez un collègue de travail. On était une bonne trentaine, rien que des cadres moyens âgés de vingt-cinq à quarante ans.” (Houellebecq, 2005, გვ. 1)

ერთი ინფორმატიკული ფირმის ანალიტიკოს-პლოგრამისტი. მინიმალურ ხელფასზე ორნახევარჯერ მეტს ვიღებ (ეს კი ჩემს ყიდვითი უნარის გარკვეულ ზღვარს მიაწინებს.” (უელბეკი, 2016, გვ.15) აღსარების ბოლოს პროტაგონისტი საკუთარ წლოვანებაზე დაგვაეჭვებს. ნაწარმოების მეორე ნაწილში გამოგვიტყდება: „მიკვირს, მხოლოდ ოცდაათი წლის ვარ. თავი ბებერი მგონია.” (უელბეკი, 2016, გვ. 128)¹⁵. დავუშვათ, რომ მთხრობელს დროის მიერ სუბიექტური აღქმა არ ამოძრავებს, რომანში მოთხრობილი ამბავი თანმიმდევრული მოვლენების ჯაჭვია და მოქმედება ერთი წლის განმავლობაში, ნოემბრიდან ივნისამდე ხდება. ამ ილუზიას ისიც ამყარებს, რომ მთხრობელი უშურველად ახსენებს სეზონს, აზუსტებს დღესა და საათს, თითქოს სურს მის გარშემო არსებულ რეალობას მოეჭიდოს, ხოლო მწერალს – შექმნას რეალობის ეფექტი.¹⁶ თუმცა მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის მესამე ნაწილში, აღმოვაჩინოთ, რომ დაზუსტებების მიუხედავად, სულ მცირე ერთი წელი „დაიკარგა”: „26 ექვს მაისს კლინიკა დავტოვე. [...] მეც 26 მაისს ჩავისახე. [...] ეს ყველაფერი ოცდაცამეტი წლის წინ მოხდა. მაშინ კიდევ შეიძლებოდა გემრიელი ქათმის ყიდვა” (უელბეკი: 145)¹⁷. ამ მონაკვეთიდან ჩანს, რომ თხრობის მომენტში პროტაგონისტი ოცდათორმეტი წლისაა და არა ოცდაათის. ჩვეული ირონიის ფონზე, ასეთი მცირე უზუსტობაც კი მწერლურ თამაშად უნდა ჩაითვალოს, რაც კიდევ უფრო მეტად მოქმედების ადგილის მნიშვნელობაზე დაგვაფიქროს.

უდავოა, რომ მხატვრულ -ლიტერატურულ ტექსტში, სადაც არაა დაკონკრეტებული დრო და წიგნის კითხვასაც ისე ვასრულებთ, რომ პროტაგონისტის ვინაობაც უცნობი რჩება, მოქმედების ადგილის დანიშნულება განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა იმსახურებდეს. ნაწარმოების მეორე ქვეთავში მწერალი ზედმიწევნით აღწერს შეზარხოშებული ჰომოდიეგესური მთხრობელის გადაადგილებას. ქვეთავის სათაურია „მარსელთა შუაგულში”.¹⁸ უელბეკი ტექსტის ინტერპრეტაციისთვის საჭირო გზას სათაურითვე სთავაზობს მკითხველს: ერთი მხრივ, ინტერპრეტაციის მექანიზმს, მეორემ მხრივ – ტოპონიმიკას, ტექსტის უკეთ გააზებისთვის.

ლიტერატურული ტოპონიმიკა – შესაძლოა ასე ვუწოდოთ მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტებში სივრცის ნებისიერი სახით არსებობას და მათ შესწავლას.

¹⁵ „Ça m'étonne d'avoir seulement trente ans; je me sens beaucoup plus vieux.” (იქვე, გვ. 85)

¹⁶ „მომდევნო ორშაბათს” (გვ. 18), „დილის ათი საათია” (გვ. 19), „სადამოს ხუთი საათისთვის...” (გვ. 23), „ნოემბერი იწურებოდა” (გვ. 49), პირველი დეკემბერი. ორშაბათი დილა. ცივა.” (გვ. 52), „ხუთ საათზე ზარი ირეკება” (გვ. 59), „ლამის პირველი საათი იქნებოდა” (გვ. 70), „ხუთ საათსა და ორმოცდათორმეტ წუთზე მატარებელი ლა -რომ-სიურ-იონში შევიდა” (გვ. 95), „მეორე დღეს, რვა საათზე, ფირმაში მივედი” (გვ. 124), „იმავე წლის 20 ივნისს, ექვს საათზე, გავიღვიძე...” (გვ. 147), „21 ივნისს, შვიდ საათზე ვდგები...” (გვ. 150)... და რომანიც კონკრეტული დროის მითითებით სრულდება: „ნაშუადღევს ორი საათია” (გვ. 151) (უელბეკი, 2016)

¹⁷ „ Je sortis de la clinique un 26 mai; [...] C'est également un 26 mai que j'avais été conçu [...]. Il y avait de cela trente-deux ans, maintenant; à l'époque, on trouvait encore de vrais poulets.” (Houellebecq, 2005, გვ. 97)

¹⁸ „Au milieu des Marcel” (Houellebecq, 2005, გვ. 3)

მხატვრულ ნაწარმოებში ტოპონიმების ერთი შეხედვით „უწყარი“ მოხსენიება, სხვადასხვა დატვირთვას იძენს განსხვავებული კულტურული კოდის მქონე ადრესატისთვის. ბუნებრივია, უცხოურ მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტების კითხვისას, დასახლებული პუნქტების, მოედნების, ქუჩების ხსენება კარგავს ზემოქმედების ინტენსიურობას თუ რეციპიენტისთვის უცნობია კონკრეტული ადგილი, დასახლებების ეტიმოლოგია და მასთან დაკავშირებული ისტორია. მოცემულ კვლევაში წარმოდგენილ მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტში, ტოპონიმები მხოლოდ სივრცის გამოყოფას, რეალობის ეფექტის შექმნას არ ემსახურება. ზოგ შემთხვევაში ტოპონიმი მწერლთან ასოცირდება, ზოგჯერ – თავად უბიძგებს მკითხველს ტექსტის მრავალშრიანობის ანალიზის აუცილებლობისა და ასოციაციათა წყებისკენ. მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტში სივრცის მოხსენიება უნდა იწვევდეს შეყოვნებას, რადგან ნახსენები ტოპონიმები კულტურული კოდის დეკოდირებას მოითხოვს. დეკოდირებისთვის გამოყენებული თეორია, დისციპლინა, მეთოდი თუ მეთოდოლოგია შესაძლოა განსხვავებული იყოს (პოეტიკა, სემიოტიკა, გეოკრიტიკა, ტრანსტექტუალობა, იმაგოლოგია...), ხოლო შედეგი – მეტატექსტის წარმოქმნა იქნება. ტოპონიმების შესწავლა ტექსტის კონკრეტიზაციისა და განუსაზღვრელი ადგილების აქტუალიზაცია-რეკონსტრუქციის ნაწილია, რაც გამოაშკარავებს ავტორისეულ ჩანაფიქრს და სავარაუდო ადრესატს იდეალურ რეციპიენტად გარდასახავს.

„მარსელების შუაგულში“ იმთავითვე იწვევს მარსელ პრუსტის ალუზიას. თუმცა არა მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტში გადმოცემული ამბის კონტექსტში (როგორც ბალზაკის შემთხვევაშია), არამედ მინიშნებად, რომ ტექსტში უმნიშვნელო არაფერია, ნახსენები ტოპონიმიც კი.¹⁹ მეორე ქვეთავში მეთვრამეტე პარიზულ არონდისმანში (რაიონი) მდებარე მარსელ სამზას და მარსელ დასოს ქუჩებია მოხსენიებული. მთხრობელი ამ ქუჩებში ეძებს დაკარგულ მანქანას, „პეჟო 104“, რადგან არ ახსოვს წვეულებამე სად დააყენა, თან გასაღებიც დაკარგა. იმ არონდისმანში სხვა ქუჩებიცაა, მაგრამ გადაადგილების საშუალებას მოკლებული პერსონაჟის ოდისეა სწორედ ამ ორი ქუჩის გავლით იწყება.

მაშ რატომ ეს ორი ქუჩა და თანაც ამ თანმიმდევრობით, როდესაც მანამდე ტექსტში არცაა ნახსენები მოქმედების ადგილი?²⁰ სოციალისტური ბანაკის წარმომადგენელი მარსელ სამზა ადამიანათა უფლებათა დაცვის კომიტეტს თავჯდომარეობდა. ავიოინჟინერმა და პოლიტიკოსმა მარსელ დასომ კი თავისი ფინანსური იმპერია კაპიტალისტური წარმოების წყალობით შექმნა. ორი ქუჩიდან ერთი „მემარცხენეს“

¹⁹ ნებისმიერი ტექსტი სხვადასხვა ალუზიას იწვევს. როდესაც უელბეკის ქვეთავის სათაურს კითხულობ, ბუნებრივია, საყოველთაოდ ცნობილი მარსელ პრუსტი მყისიერად გახსენდება. კონკრეტულად კი ე.წ. „მადლენის ეპიზოდი“, როცა ნამცხვრის დაგემოვნება უმალ იწვევს ასოციაციათა ჯაჭვს, რაც პრუსტის რომანის პოეტიკის საფუძველია და უფრო ღირებულია, ვიდრე იმავე ტექსტში მოთხრობილი ტრივიალური სასიყვარულო თავგადასავალი.

²⁰ ის, რომ მოქმედება პარიზში ვითარდება, ამავე ქუჩების მოხსენიებით დასტურდება ჯერ, შემდეგ კი სხვა ტოპონიმებით.

სახელს ატარებს, მეორე – „მემარჯვენისას“, რაც მნიშვნელოვან ექსტრალიტერატურულ ფაქტორად იქცევა, ტექსტის დედააზრის ამოცნობაში რომ დაეხმარება მკითხველს.²¹ ჩვენი დროის რასტინიაკიც ორი იდეოლოგიის გზაჯვადერინზე დგას, როგორც მისი თაობის წარმომადგენელთა უმრავლესობა.²² საშუალო რგოლის მოხელე საზოგადოების მაღალ წრეში ყოფნასა თუ ფინანსულ უზრუნველყოფაზე კი არ ოცნებობს, არამედ – ადამიანურ ურთიერთობებზე, რასაც იგი, პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტი მოკლებულია მის მიერვე მხარდაჭერილი განვითარებული ტექნოლოგიების ეპოქაში.

თანამედროვე ფრანგი მწერლის ტრადიციების ერთგულება მედიასაშუალებების, თუნდაც ყვითელ პრესაში აჭრელელბული სათაურების მიმართ უელბეკის ინტერეს არ გამორიცხავს. რომანი ავტორბიოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს: მთხრობელი სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობს ისევე, როგორც თავის დროზე უელბეკი. ნაწარმოებში ბევრია მოდური ფილოსოფია, ფსიქოანალიზი, უპასუხოდ დატოვებული შეკითხვა, დეპრესია, აგრესია, ძალადობა, ევთანაზია, მოზღვავებული, უსარგებლო პროდუქცია, ეკოლოგია, ილუზია... და ალუზია, რომელიც ლიტერატურულ ურბანულ ჯუნგლებში გზამკვლევად გამოდგება. პარიზის მიერ მიტაცებულ გარეუბანში დაწყებული ოდისეა მოძრაობას გულისხმობს: ამიტომ გადაადგილდება უელბეკის რომანის პერსონაჟი მარცხნიდან მარჯვნივ, ცენტრიდან რეგიონებისკენ, ჩრდილოეთიდან სამხრეთით და ისევ ცენტრისკენ, მანქანით, მეტროთი, მატარებლით ... თუნდაც ველოსიპედით. მკითხველიც მოგზაურობს რუსოდან კამიუმდე თუ სარტრიდან მიშელ კლუსკარამდე. რასტინიაკისგან განსხვავებით, უელბეკის რომანის პროტაგონისტს არჩევანი არაა აქვს: მას ისღა დარჩენია გამოყენებითი ფილოსოფიითა და ფსიქოლოგიით, თავსმოხვეული პოლიტიკური იდეოლოგიებით ნაკარნახებ მარტოობას შეეგუოს. სუპერმარკეტში გულის შეტევით მოკვდები, ძალღონიანს „დამსახურებულ“ პენსიაზე საზეიმოდ გაგაცილებენ, თუ ფსიქიატრიული კლინიკის ფანჯრებიდან გააგრძელებს სამყაროს მშვენიერების ცქერას²³ – მნიშვნელობა არა აქვს, რადგან „რაც შეიძლება

²¹ კიდევ ერთ საინტერესო ექსტრალიტერატურულ ფაქტორად ტექსტში „პეჟო 104“-ის ხსენება შეიძლება მივიჩნიოთ. ამ „სუპერმინი“ სედანის ორ მილიონამდე მოდელი 1972-1988 წლებში იწარმოებოდა საფრანგეთში. სწორედ იმ პერიოდში, რომელიც საზოგადოება ასე მწვავედ განიცდიდა 1968 წლის მათისის მოვლენებს და მის შედეგებს. ნიშანდობლივია, რომ ნაწარმოების ინკიპიტში ახალგაზრდების ქცევა 1968 წლის ამბებს მოგვაგონებს. (უელბეკი, 2016, გვ.5) ის რომ, არც თუ ისე ხელმოკლე მთხრობელი ზუსტად ამ მოდელის მომხმარებელია, უფრო აზუსტებს ისტორიულ მონაკვეთს, რომელსაც გვიხატავს მწერალი. მხოლოდ წელიწადის დროების თუ საათის მითითებით კონკრეტული პერიოდს ვერ დაადგენ. „პეჟო 104“ მარკერია, რომელიც ეხმარება მკითხველს უკეთ გაითავისოს მწერლის პოზიცია, გახდეს თანაზიარი ან გაემიჯნოს მთხრობელის კაეშანს, გაიაზროს, თუ რა კუთხით ხედავს და როგორ აღიქვამს ესა თუ ის თაობა ისტორიულ რეალობასა და მოვლენებს.

²² იდეოლოგიების გავლენების მსხვერპლი თაობა, უელბეკის საყვარელი თემაა. უფრო საფუძვლიანად თავის მოსაზრებას მწერალი ანვითარებს მომდევნო რომანში – „ელემენტარული ნაწილაკები“ (1989 წ.)

²³ იხილეთ შემდეგ ეპიზოდებში: გვ.: 43-48, 64-65, 139-145. (უელბეკი, 2016). ტექსტის ამ მონაკვეთებში, თითქოს პროტაგონისტი თავის სავარაუდო ხვედრზე ფიქრობს.

სამყაროს მიერთების ნეტარებისა და უმანკო გრძნობადი შერწყმის წყარო ყოფილიყო, ტანჯვისა თუ უბედურების სათავედ იქცა.” (უელბეკი, 2016, გვ. 150)²⁴

ბრძოლის ველის განვრცობის გმირის ოდისეას ყველა ტოპონიმის სიმბოლური დატვირთვის ამოცნობა ძნელია და, ერთი შეხედვით არც ვლინდება ტექსტის დედააზრით განპირობებული თანმიმდევრულობა, რასაც ვერ ვიტყვით თავგადასავლის დასაწყისსა და დასასრულზე. თუ ამბავი პარიზში იწყება, იგი საფრანგეთის სამხრეთში, არდემში, სენ-სირგ-ან მონტანის ტყეში სრულდება, სადაც მთხრობელი ველოსიპედით სეირნობს. ტექტის ბოლო აბზაცში ვკითხულობთ, რომ იგი აღმართს მიუყვება: „უფრო ღრმად შევდივარ ტყეში. ამ კონცხის გადაღმა, რუკას თუ დავუჯერებ, არდემის წყაროებია. ჩემთვის ეს ბევრს არ ნიშნავს, მაგრამ მაინც წინ მივიწევ. არც კი ვიცი, სად ვემებო წყარო. ირგვლივ ერგვაროვანი გარემოა, კიდევ უფრო, მინაზებული, გულგაშლილი, ლაღი. მტკივნეული განცდაა. უფსკრულის შუაგულში ვარ. ჩემი კანი საზღვარია, გარე სამყარო კი მოშთენას მიპირებს. დაუძლეველი განხეთქილება... საკუთარი თავის ტყვე ვარ ამიერიდან. უმაღლესი შერწყმა აღარასდროს მოხდება. ცხოვრების მიზანს ვერ მივაღწიე. ნაშუადღევის ორი საათია.” (უელბეკი, 2016, გვ. 151)²⁵

პარიზი, ადგილი, სადაც თავს იყრის ცივილიზაციის წარსული და აწმყო, და არდემი – მხარე, რომელიც ინახავს პრეისტორიულ საიდუმლოს.²⁶ გზა პარიზიდან არდემამდე – ოდისეას ერთი სულიერის, რომელიც ზაფხულის ბუნიაობას თავის ფესვებს უბრუნდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

უელბეკი, მ., *ბრძოლის ველის განვრცობა*, გამომცემლობა „აგორა“, თბილისი, 2012, 2016

Balzac, O. de., *Le père Goriot*, La Bibliothèque électronique du Québec, Édition de référence: *Alexandre Houssiaux, Éditeur*, Paris, 1855

²⁴ „Tout ce qui aurait pu être source de participation, de plaisir, d'innocente harmonie sensorielle, est devenu source de souffrance et de malheur.” (Houellebecq, 2005, გვ. 99)

²⁵ „ Je m'avance encore un peu plus loin dans la forêt. Au-delà de cette colline, annonce la carte, il y a les sources de l'Ardèche. Cela ne m'intéresse plus; je continue quand même. Et je ne sais même plus où sont les sources; tout, à présent, se ressemble. Le paysage est de plus en plus doux, amical, joyeux; j'en ai mal à la peau. Je suis au centre du gouffre. Je ressens ma peau comme une frontière, et le monde extérieur comme un écrasement. L'impression de séparation est totale; je suis désormais prisonnier en moi-même. Elle n'aura pas lieu, la fusion sublime; le but de la vie est manqué. Il est deux heures de l'après-midi.”(Houellebecq, 2005, გვ. 99)

²⁶ პრეისტორიული ნახატებით ცნობილი მხარე საფრანგეთში. 1994 წელს, რომანის გამოქვეყნებიდან მალევე, არდემის ტერიტორიაზე კიდევ ერთი გამოქვაბული იქნა აღმოჩენილი, სადაც მსოფლიოში კედლის მხატვრობის უძველესი ნიმუშებია დაცული. 435 კედლის გამოსახულება ოცდათექვსმეტ ათას წელს ითვლის.

Cloucard, M., *Le capitalism de la seduction*, <https://archive.org/details/1981LeCapitalismeDeLaSeductionMichelCloucard/page/n5/mode/2uu>

Houellebecq, M., *Extention du domaine de la lutte*, Editeur, «J'ai lu», (EPUB), Paris, 2005

Houellebecq de A à Z: B comme Balzac, ვიდეონტერვიუ,
<https://www.dailymotion.com/video/x6pegh>, 2005